# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 8-23

„26" დეკემბერი 2017 წ

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილი იქნას ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016099) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა (ფუნქციური ზონები) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა).

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


ფუნქციური ზონები
ლეგენდა
ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ)
საცხოვრებელი ზონა (სზ)
საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)
საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)
საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)
საცხოვრებელი ზონა 4 (სზ-4)
საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)
საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
საკულტო
სამრეწველო ზონა 1 (ს-1)
სამრეწველო ზონა 2 (ს-2)
სანიტარული ზონა (სანზ)
სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)
სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)
სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ)
სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)
სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2)
სატრანსპორტო ზონა 3 (ტზ-3)
სატყეო
საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)
საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3)
სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1)
სპეციალური ზონა 2 (სპეცზ-2)
გარემოს დაცვითი ზონა 3 (გდზ-3)
N
W
E
S
1:30,000

ცვლილების საინფორმაციო მასალა





ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲣᲠᲘ



ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲣᲠᲘ

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) (არსებული ზონა **819** კვ.მ.)

საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) (კორექტირებული ზონა **819** კვ.მ.)

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) (არსებული ზონა **135** კვ.მ.)

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (კორექტირებული ზონა **135** კვ.მ.)

**3.** ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ორთაჭალის ქუჩის ბოლოს, ბოტანიკური ბაღის დამხმარე ტერიტორიიდან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: **N01.18.01.002.187; 01.18.06.012.019**-ზე და მიმდებარედ), **(954** კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას, სარეკრეაციო ზონა **2**-ს, სატრანსპორტო ზონა **1**-სა და საცხოვრებელ ზონა **2**-ს შორის.

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა **2**-ით, სარეკრეაციო ზონა **2** იცვლება სატრანსპორტო ზონა **1**-ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" **18.05.2017** წლის ოქმი **#20**), განმცხადებელი.: მ.სუხიტაშვილი.

**AR1503536.**